საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თარხნიშვილი მიხეილ (მიქელ) სტეფანეს ძე

თარხნიშვილი მიხეილ (მიქელ) სტეფანეს ძე (12. I. 1897, ქ. ახალციხე, – 15. X. 1958, რომი, დაკრძალულია ვატიკანში მოღვაწე უცხოელ მამათა საერთო აკლდამაში), ქართველი ფილოლოგი. იკვლევდა ძვ. ქართ. ქრისტ. აღმოსავლეთისა და ბიზანტ. ლიტერატურათა, საქართვ. ეკლესიისა და სას. მწერლობის ისტ. საკითხებს. ცხოვრება და მოღვაწეობა მოუხდა სამშობლოს გარეთ. 1913–17 სწავლობდა კონსტანტინოპოლის (სტამბოლი) ქართვ. კათოლიკეთა სამონასტრო სკოლაში, 1917-იდან 1919-მდე – გერმანიაში, ეტალის ბენედიქტელთა სააბატოში. 1919 მცირე ხნით დაბრუნდა საქართველოში, მაგრამ იმავე წელს კვლავ სტამბოლში გაემგზავრა და სამშობლოში აღარც დაბრუნებულა. 1924 ავსტრიაში გაემგზავრა და სანტა-გაბრიელის საღვთო სიტყვის საზ-ბაში დაასრულა ფილოლ. და ფილოს. განათლების კურსი. 1931-იდან რომში მოღვაწეობდა. 1931 წ. 6 აგვ. ეკურთხა მღვდლად გროტაფერატას ბერძნ. სააბატოში. 1930–33 სწავლობდა რომის პაპის აღმოსავლეთის ინ-ტში, რ-ის დამთავრების შემდეგ დაიცვა დისერტაცია და მიიღო დოქტორის სამეცნ. ხარისხი. 1935-იდან ცხოვრობდა საფრანგეთში, ბელგიასა და გერმანიაში. 1943-იდან დამკვიდრდა რომში.

თ-მა გამოავლინა, შეისწავლა და გამოაქვეყნა უცხ. წიგნთსაცავებში დაცული ქართ. მასალა. გრაცის უნ-ტისა და ვატიკანის ბ-კებში დაცული ქართ. ხელნაწერების მიხედვით გამოსცა „ჟამის წირვათას" ქართ. რედაქციები ლათ. თარგმანითურთ (1950), გრიგოლ ბაკურიანის „პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი" (1954), „იერუსალიმის ეკლესიის დიდი ლექციონარი" (1959), კ. კეკელიძის „ძველი ქართული მწერლობის ისტორიის" I ტომის თარგმანი გერმ. ენაზე ი. ასფალგთან ერთად. ამ თარგმანის საფუძველზე დაიწერა "ქართული სასულიერო ლიტერატურის ისტორია" (1955). ამავე წელს გამოაქვეყნა ეგვიპტეში, თებეს ნეკროპოლში აღმოჩენილი ქართ. წარწერები, შეადგინა ქართ.-ფრანგ. ლექსიკონი. თ. აქტიურად თანამშრომლობდა ევროპის

ავტორიტეტულ ჟურნალებთან, განსაკუთრებით ჟურნ. „ბედი ქართლისასთან”, ევრ. ენციკლოპედიებს აწვდიდა მასალებს საქართველოს შესახებ.

თხზ.: წერილები, წგ. 1. ქართული ეკლესიის ისტორია, თბ., 1994.

ლიტ.: ბედი ქართლისა, ტ. 4–5, პარიზი, 1958; ტ. 6–7, პარიზი, 1959.